

„რ მ ა თ ი კ უ თ ხ ე“

ჩემო კარგო, მხოლოდ ეს ოპერა დაგვრჩენია, სადაც ჩვენისთანა კეთილშობილ საზოგადოებას შეუძლია სულიერ მოთხოვნილებებს დაკმაყოფილება და სიამოვნების მიღება.



„კალა“-„კიტა“

წასვლა სჯობს წარმავლისა, არ დაყოვნება ხანისა

გაბრიელის
ილიროთქა

„ფინანსისტებს“ საქმის მწარმოებლად
შეყავს ვალია ბატონობაზე,
საქმისა და წერის მიცოდენ
უკეთესი ბევრზე, სხვაზე.

მხოლოდ ერთი დიდი ნაკლი
იმ თავითვე დაწყვა მასა,
რასაც სცნობდა, ვით მავნე ზნეს,
მასში მთლად „ფინანსისტის“ მასსა!

ხელ-გვიანი კაცი იყო:
ჯერ — წერას და შემდეგ — თქმაში,
ასათას ფუთ სიმძიმედ
აწვა იგი საქმეს სვლაში!

ცხადი არის, ამძიმებდა
და გასაქანს არ აძლევდა,
ოუშეცა ამას მთელს „ფინანსისტისში“,
ც-ნ იყო, რომ არ ამჩნევდა!

მაგრამ რაღაც მანქანებით
ადგულ-დან მისი დამცრა
ფერ-ფერობით, მგონი, არვის
არ მოხელთა თავში აწრაღ!

და იღწვოდა ბატონობაძე,
შემოკლებით — მხოლოდ მალბ,
ვით დემონი — დამის ბნელში,
როგორც სტიქიური ძალა...

იღწვოდა და საქმეც ჩუმად
მიდიოდა ზღაზვნით, ნელა...
მას იტანდა ტრესტის გამგე,
მას ითმენდა თითქმის ყველა!..

სანამ ერთხელ ვინმე კიტა,
კაცი მტკიცე და კორკიტა,
გაუცხადებდა დასაწვლად
თაბახ ქალაქს არ იყიდდა,

და ქალაქდზეც განცხადებას
არ დასწერდა თავის ხელით:
ტრესტის გამგეს იგი მასში
მიმართავდა თხოვნით, ვრცელით!

არ ვინ იცის, რას სთხოვდა ან
შიგ რა იყო დაწერილი,
ის ეწვია კალას მხოლოდ,
ხელში კონვერტ-დაქერილი..

და გადასცა... გადასცა და
თან სიტყვითაც ჩააბარა...
და ვალამაც ეს კონვერტი
ჩაიბარა მისგან, მარა

არც ის ახსოვს, თუ რა უთხრა,
არც ის—თუ ეს რა დღე იყო,
და მსგავსმა გულმავიწყობამაც
ის ნაყოფი გამოიღო.

რომ, მის შემდეგ, რომ გავიდა
თვე ერთი თუ, მგონი, ორი,
კიტა ერთ დღეს შემოიჭრა
„ფინანსისტისში“, მით მებტორი,

მიიჭრა და ფიქურ ვალას
დაეძგრა, როგორც ტყვარა,
— ჩემი თხოვნა?! ზედ პასუხი
რამე ზომ არ შეგიტყვი?!.

— შენი თხოვნა? ის თხოვნა თუ
განცხადება იყო, მგონი,
შეცდომამში არ შესტკობო,
შეასწორე გრაზაფონი!

— მე შენ მოგცემ შესწორებას!
შენ მე თხოვნა მომიხატე...
თუჩაღწვილ შუშაბანდს, ვსურს,
დაგიშვავსო ამ წაშს სახე?!.


— ვის შუშაბანდს? რა შუშაბანდს?
აფრაცებში მოიშალო?
დღეს დადებნი მე შენს თხოვნას,
პასუხისთვის მოდი ხვალე!

უთხრა ცოტა დარბილებით
განწყრალ კიტას მაშინ ვალამ,
ეტყუებოდა: გასჭრა თვალმა
და მკლავშიც—ჯერ უცნობ ძალმა!

და როდესაც მერე დღეს
შემოვიდა მასთან კიტა,
ვალა თუმცა გულმავრობდა,
კიტა მას შიშს მაინც მტვრიდა,

რადგან პასუხს, აღქმულ პასუხს
ვერ მისცემდა, იყო ცხადი:
— პასუხისთვის — უთხრა დინჯად—
— ხვალ შემოხვალ, დღეს კი წადი

ქაბულიდან გავიდა ინგლისის წარმო-
მადგენლოთა ავლანისტანში.
დებეშებიდან.



მარიამი

„იმი ვინაახვი და... გაუკინას განახვებო“

„მოდი - წადი“-ს წელიწადი
რომ გავიდა თითქმის ასე,
ერთ დღეს კიტამ შეუყვირა:
— რაა ეს, რომ მათამაშებ?!.

თუ ვაგლანით მემასხრები
და მოცლილი მნახე, ფიქრობ,
თავს ასე არ გაქეღვინებ,
უშალ თვითონ დღეს გაიჭირობ!

ვინ გგონივარ, თუ გგონია,
მე ვინ ცარ და ვინ ხარ შენა?!.
წაიჭირო... მიიწია...
აუფარდა მკერდში ქმენა!..

და რომ კალმის მომარჯვება
არ მოესწრა მისთვის ვალას,
ცხადი არის, მუქარასთან;
აგებმბდა კიტა ძალას!

მაგრამ ვალამ კალმის წვერი
მოიმარჯვა ისე მარდათ,
რომ იმაზე დაძვრების
დაეპარგა კიტას მადაც!

და იდროვა ვალამც ამით,
და უშეცა კიტას ყელი:
— რომ ყვირო, რა გაყვირებს,
საქმე იყვეს თითქმის ძნელი!

დღეს თუ არა ხვალ ხომ მოგცემ
შენს თხოვნაზე მაინც პასუხს!
„ვით შქუხს, ისე არა წვიმს“-ო
და როგორც წვიმს, ისე არ შქუხს!

მეის დაუცხრა გულმის წყრომ
ამ სიტყვაზე კიტას ისევ...

ბიჭი ხარ და ნუ დასცხრები,
არ აჯობო ვალას მყისვე!..
ის დასაძვრენს მუდამ ნახავს
დამნაშავე თავის თავის,
შენ იკითხე, მასზედ ძვირს რომ
ვერც შეასმენ იქ ვერავის!..

წამოვიდა ახლაც კიტა,
დაღვრემილი, დანაღონი...
იმის შემდეგ „დღეს-ხვალობა“
განმეორდა ასჯერც, მგონი!..

მაგრამ, აბა; თხოვნის პასუხს
შენ გამოსტყოვ ვალას ბრჭყალებს?
ორ წელიწადს, სამსაც ხშირად
ის ლოდინით გააწვალეებს,
რათა ერთხელ, დანაბოლო ს
მთლად უტიფრად ვარი გტკიცოს,
და დასმული უიმედოთ
გაგაჯვროს, გაგაფიცოს!..

ასე მოხდა აქაც, თუმცა
ვერ ეღიროს კიტა უარს!
ხვდავს თუმც, რომ „დღეს-ხვალობით“
ვალა მხოლოდ საკითხს უარს!..

და ცეცხლდება ისევ კიტა...
და წყალს ასხამს ისევ ვალა...
კიტამ ვალა კვლავ ზღვას მისცა...
ვალამ ის კვლავ გაიმშრალა...
და გრძელდება ასე! წეწავს:
კიტას — ვალა, ვალას-კიტა...
და ამ წეწავ-გაღვირვანებ
წარმოიშვა ვალატყა!..

„მსუბუქი კავალერია“

ქ ვ ი რ უ ა ლ ი ს ე ზ ო ნ ი

საქართველოს
გინაზღობის

(სტალინი)

სოფ. საზოგადოების კომკავშირის უფროსის მდივანი შაქრო დიდ საგონებელში ჩავარდა, როცა მასრკომიდან ცირკულიარი მიიღო.

— დასწევლოს ღმერთმა, წაიბუტბუტა თავისათვის. თემკომის მდივანი რამ გამოაჩერჩეტა?— იწერება: შეადგინე მსუბუქი კავალერია... ქალებიც ჩააბი შიგაო! იმაზე კი არაფერს ამბობს, თუ ცხენები სად ვიშოვო ამ კავალერიისათვის! უფროსის კრებაზე უნდა დავსვა ეს საკითხი!

ამ სიტყვებზე წამოდგა, ჩაიცვა გაცვეთილი ტყავის „ტუშურკა“ და გასწია უფროსის ბინისაკენ.

მალე უფროსის ვიწრო ბინა გაივსო კომკავშირელებით.

— ამხანაგებო, დაიწყო შაქრომ როგორც თემკომის მდივანის ცირკულიარის თანახმად, უნდა შევადგინოთ მსუბუქი კავალერია.

ამიტომ ეხლავე უნდა ჩავეწეროთ კავალერიაში.

კი, მაგრამ სად უნდა წავიდეს კავალერია?— შეეკითხა ერთი კომკავშირელი.

— ჯერ ჩვენს თემში ვიქნებით და შემდეგ მასრკომი გვეტყვის.

— ომი ხომ არ ატყდა ანგლიასთან?— შეეკითხა მეორე.

— ცირკულიარში ამაზე არაფერი სწერია, მაგრამ შესაძლებელია ატყდეს. ჯერ-ჯერობით კი ჩვენ ბიუროკრატიზმს უნდა ვებრძოლოთ და უყარათობას. ეს კი სწერია ცირკულიარში.

— ქალებიც უნდა ჩავეწეროთ. — შეეკითხა ქეთო.

— აბა ქალები რაღა წითელი კოჭები ხართ? შენ არ იყავი, რომ განცხადებაში სწერდი—უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებო!

თითქმის ყველა ჩაეწერა.

ამხანაგებო, თუმცა ცირკულიარში სწერია, რომ უნდა ვეცადოთ, კავალერიაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობის ჩაბმასო, მაგრამ რადგანაც ჩვენი სოფლის ცხენები არ გვეყოფა ყველასათვის, ამიტომ ჩაწერვა შევწყვიტოთ. ახლა წადით და სვალ დილით ცხენებიანათ ჩემთან გამოცხადდით.


— ცხენებიანათ?!?

— ჰო, აბა რა გეფონა? სად გინახავს უცხენოთ კავალერია?

— კი მაგრამ...

— არავითარი „კი“! ვისაც ჰყავთ, ხვალვე ცხენებით გამოცხადდით და გავწიოთ მასრკომში. იქედან კი მათი საქმეა სადაც გაგვავაწინან.

მეორე დღეს „მსუბუქი კავალერიაში“ ჩაწერილნი ნელნელა შეიკრიბნენ უფროსის ეზოში. აქვე ღობეზე მიაბეს ცხენები ზოგი შეკაშმული, ზოგიც შეუკაშმავი, ზოგიერთ კომკავშირელებს



მ. კ. მ.

მანეთობით აკიბულა ეს ფასების კიბე; შესვლა მეც კი მინდა, მარა ფართო უნდა ჯიბე.

უკან მშობლები მოსდევდნენ: — არ გაგატან ცხენს არა, შე ოჯახის დამღუბველო შენა!

— შაქრო წინ მიუძღოდა თავის კავალერიას.

— ჩამოხტით!— გასცა განკარგულება შაქრომ მასრკომის წინ.

— მასრკომში ბევრი იცინეს.

— უცხენო კავალერია მე არ გა-

მიგონია და პირველა ეხლა მესმის?— მოდიოდა და ფიქრობდა შეურაცხველი შაქრო.

— სწავლა აკლია, თორემ არა უშავს, გაჩვენე და შეისწავლის... ძალიან ყოჩალი ბიჭია. ასე საჩქაროდ როგორ შეკრიბა და გამოაწყო ნამდვილი კავალერია!— კმაყოფილებით დაპარაკობდნენ მასრკომში და იცინოდნენ შაქროს გულუბრყვილობაზე. ა. შაღური.

სცენა ტელეფონთან

(კიათურა)

ცენტრალია? ჰა? კი?!... ბარბონა, შენ დაგენაცვალოს სევასტი ჭიპაშვილი, თუ გიყვარდე, სილიბისტრო, ოყროშიძეს გადამაფსკვენ ტელეფონით. ჰა? მზათაა?! (ქუდს უხდის) სპასიბა! (რეკავს), სილიბისტრო ხარ, ბიჭო, შენე?! ზრასტი ბაქალუსტა! რაიო, რაიო?.. ჰა?! მეიხედე აქეთ! რა სოჭვი? ხუცები წეიკიდენ მონასტერში? რეიზა, ბიჭო, რეიზა? ეფისკოპოსმა ბრძანა, რომე ორივემ სწიროსო, მარა დიომიდე არ უშვებს ბესარიონს?! ნუ?! აი, ახალი ტყემალი! მოლოზნები?.. ჰო, მესმის, რომელი? ნინო, ოლა და ქრისტინე წაეკიდენ ელენიჩკას?! რეიზა, კაცო, რეიზა? ორვე ხუცესს ერთნაირი აქვთ წირვა-ლოცვა და ბესარიონს რეიზა უდგებიო?! აწი? ნინო მოლოზონი ტფილისში წვიდა კათალიკოსან? რატომ, ბიჭო, რატომ? სთხოვა, რომ დიომიდე დაგვიტოვეთ მონასტერშიო? უყურე შენ ნინოს! ქრისტინემ, ოლამ და ოლინკამ კამპანია გაუმართეს ეპისკოპოსს?! რატომ, ბიჭო, რატომ? რომ დიომიდეს დუჭიროს მხარი? ნუ მასხრობ, ბიჭო! ვოტ თებენა!! რაიო, რა სოჭვა დიომიდემ, ბესარიონს მოვკლაო? რატომ კაცო, რატომ? ყველა ბესარიონს ჰკოცნის ხელზე და კი არავინ მიუტრებსო?! უყურე შენ დიომიდეს! სილიბისტრო, მეიხედე აქეთ? რაიო, მღვიძელები ჩამოვიდნენ და კინალამ დაწყვიტეს მოლოზნები, რომე ბესარიონი არ გვენდაო? ნუ ლაპარაკობ დედა ნუ მოგიკვდება! მართლა, ბიჭო? აწი და ბესარიონიც ქე დეიხზოვოს, ხალხს თუ არ უნდა რაეა?.. ელენიჩკას და ელსაბედს უნდათ? იმე, უნდა რომელია? მეც ქე მინდა იაპონიის დედოფალი, მარა ვინ მომცემს! რაიო, რაიო? დიომიდეს მომხრე მოლოზნებს საკუთონი მიაქვთ სამსონთან, რომე მათი ფხარი დაიჭიროს?! რას ლაპარაკობ, კაცო, რას? მაგას ვერ დევიჯერებ! მოლოზნები და ქრთამობია ვის გაუგონია! რა თქვი, ბიჭო, სილიბისტრო?... მეიხედე აქეთ! რა ყავს ოცი, რა? ჰა?! კატაა?! ვის, ბიჭო, ვის? ოლინკა მალაზონს? ნუ მასხრობ დედა ნუ მოგიკვდება! მერე და რას აქმევს, ბიჭო, ამ ჯოგს! რძეს?! იმე, იმე, რაეა დევიჯერო ახლა მაგი! თითონ ლობიოს ჭამს? აბა ცხონებულა და ივია, რას ლაპარაკობ ოცი კატის მადლი უმკველში აცხონებს მის სულს, არ უნდა ამას ლაპარაკი, ვირი ქე მოუკვდა?! უბედური ოლინკა! ქე არ დაღუბულა ქალი! მარა არაფერია, ივაც მიემატება საცხონებელს, სილიბისტრო, გამეიხედე აქეთ, რაიო, ლადიას დაკული ღორი მოპარეს?! ვინ, კაცო, ვინ?! არუსიამ? როდის? ვოტ რაზბოინიკ! ქურდები დოუჭირავს?!.. მალადეც ლადია! იმე, ივი კი დეიჭირავდა, ივენზე უარესი ჯადოა, ნუ გეშინიან შენ! მაცა, ბარბონა, მაცა, ველაპარაკები!.. კაცია, ვირისთავი კი არაა! გადამაფსკვენ ხელახლა დედა ნუ მოგიკვდება, ბიჭო, სილიბისტრო, რა სოჭვი, ლადია დეიჭირესო? რეიზა, კაცო! ღორი მას მოპარეს და კიდო ივი დეიჭირეს?! სხვა საქმიზა? რატომ, ბიჭო, რატომ? უფერატო ხორცი უნახეს და დუქანი დოუფერატეს? ნუ ხუმრობ თუ კაცი ხარ! დევიჯერო, ახლა, ლადია მაგას იკადრებდა! მაცა, ბარბონა, მაცა! გავათავებ, ბატონო, ვოტ თებე ნა!! ბიჭო სილიბისტრო, ეს ბარბონა არ გვაყენებს და დავეიხზოვოთ, ბიძია და ზოგი მერე ველაპარაკოთ ნახვამდის, ნახვამდის! სილიბისტრო, სილიბისტრო! გამეიხედე აქეთ! აი, ჯანაბაში წადი! სმოლოჩი..

გაზეთებიდან ამონაწერი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო ბიუროებს დაურიგდათ ახალი წამლეულობა ბავშვის ჩასახვის თავიდან მსტილებლად; საკონსულტაციო ბიუროები მიმსვლელ ქალებს აღნიშნულ წამლეულობას უფასოდ; ამავე დროს ჯანსახკოშმა საჭიროდ აღიარა რომ აღნიშნული წამლეულობა ფართოდ იქნეს გავრცელებული მოსახლეობაში მათი თავისუფლად გაყიდვის საშუალებით.

„კომუნისტი“ № 8 (2354).

ვაჟი: ხომ კი ხედავ, ჩემო ქუკლა, რა ნეტარი დადგა ხანა; დამერწმუნე, არ რა არის უშვილობის წამლისთანა დაწყებული ჩვენი საქმე აღარ წავა აწი მრუდათ; ის წამალი უშვილობის შეიძინო მალე უნდა!

ქალი: გენაცვალე, ჩემო წარბავ, შენთვის მინდა სიჭაბუკე; ის წამალი უშვილობის შეიძინილი მაქვს მე უკვე.

ვაჟი: შენს მეტს მე არ შევიყვარებ, თუნდაც სული რომ ამომხდეს, აწი ჩვენი პოემნა ჩემს ბინაზე უნდა მოხდეს... (ერთმანეთს ჩაეხვევიან.)

(ქმარი და ცოლი)

ქმარი: რალა გვიჭირს, ჩემო დრუნცო, გულმა იგრძნო ტკბილი შვება; უშვილობის წამალი ხომ ეხლა ყველგან იშოვება, დღემდე ვერ-რა გავახერხეთ, ათი გოგო კი გყავს მარა; აწი აღარ გავვირდება, აფთიაქში წადი ჩქარა...

ცოლი: რისთვისა ხარ სულ წასული რომ დაგიფსო შენ თვალისა, ორი თვეა ორსულად ვარ, რალა დროის წამალია!..

ქმარი: რა სოჭვი შე... შენ საწელკავე ორსულად ხარ, ქალო, კიდევ? სად წავიდე, ვის მიემართო, შავი ქირის გადამკიდემ?! შეილები მყავს უთვალავი, როგორც ვარსკვლავები ცაზე; ყველგან ყრია: ტახტების ქვეშ, ფეხთან, შკაფთან, მაგიდაზე, ვშრომობ, მაგრამ ვერ ავთავიდე; ეს რა ცეცხლი მოვიკიდე, ქალო, მე შენ გეკითხები: მითხარ: ორსულად ხარ კიდევ? (ერთმანეთს დაუშენენ.)

ხელს უწყობს

საქარო

ქართული
ბიზნისი



— ცხეთამდე ამიღე ერთი ბილეთი!
 — კი, მაგრამ შენ აქი ქუთაისში მიდიხარ?
 — მერე რა! მცხეთის შემდეგ რევიზორი მაინც არ ჩამოივლის და ტყვილად რატომ დავიხარავო!

ფერილი ხულოდან

აქარისტანის მხურვალე სალამს
 ჩემო ტარტაროზ მოგიძღვნი ძმურად,
 და იმედის გვაქვს მოგვინახულებთ
 თქვენი ჩანგალით მამა-პაპურად...
 საკბილოს აქაც ბლომად გიშოვნით,
 ჩასუქებულნი დაგომანობენ,
 დაშორებული მანძილის გამო
 თქვენს მოზრძანებას არ ფიშმარობენ...
 მოინახულებთ ჯერ ბუნხალტერი,
 კარჩაკეტილი რომ ზის მართლაც,
 ვვაშაგირისთვის თუ მიაკითხე, —
 წყალი გკირია იქ ერთი კოკა...
 იმდენს გაუშედებს, გალაპარაკებს
 სულ ავერევა თავში დავთარი.
 და ფეკემბრის ხელფასისათვის
 უნდა იარო მთელი ზამთარი.
 ანგარაშების განადღებისთვის
 თუნდაც მიაღვეს „იგზუკუცია“
 სამი შაურის ანგარიშს უნდა
 ბარე ხუთმეტი რეზოლოვცია.
 კოლპერატის საკითხის ირგვლივ
 ცოტა კი მინდა გაგაგებინო
 და შენი ჩანგლის გრძელი კბილებით
 მისი კარები გაგაღებინო.
 გამგეს უთხარი: თემებისათვის
 საკირო არის მანიფაქტურა
 და არ გვკვირდება დანა-ჩანგლები,
 ან ნემსები და სხვა ხარა-ხურა.

ზოგიერთ კოკტუსს

(ბათომისათვის)

საქმესა უნდა მიდგომა,
 ამბვის დაწერა ძნელია;
 მინდა აქაურ მწერლებსა
 ლექსი მიუძღვნა მწველია.
 მწერლის სახელის მოხვეჭა
 ვიცოდეთ — მეტად ძნელია;
 ხან სიტყვა შამოგელევა,
 ხან დაგირჩება გრძელია.
 ასეთი წერა მგონია
 ვერ არის სასურველია;
 ჩავხედოთ რას გვეუბნება
 მგოსანი ჩვენ რუსთაველია:
 „მაგრად ურტყამდე ჩოვანსა,
 იყო სიტყვისა მჭრელია“;
 მკირე ნაწერით ნუ ვფიქრობთ
 ვიქნებით წერეთელია.
 სურათი მწერალთ ვერ გვაქცევს,
 დაგვანჩრობს ფიქრთა ქსელია...
 ვინც მგოსნათ თავსა ისახავს,
 აშლია საღერლელია.
 ვერას გააწყობს ვიცოდეთ
 ადრე შამფურის მთელელია.
 შოთამ სთქვა, მას დაუჯეროთ,
 მგოსნობა მეტად ძნელია.

ბუჯგუჭი.

„ვაპასა“

თვალსაზრისთა შეთანხმებისათვის

ა ნ უ

„2“ და „5“ კავშირი

რუსები რომ იტყვიან—„ნა ხალას-ტოი ნოვე“-ო, სწორედ ისე მიყვარს შე ცხოვრება.

მართალია, ბერებსა და განდევნილებს ესლა მოწონება არა აქვთ, მაგრამ ბერივით ცხოვრება კი დასაშვებია, დაშვებულიც და შესაძლებელიც. შეიძლება ვინმემ სთქვას: „ცოტას ხკტივობას კი ვნებს, ასეთი ცხოვრება“-ო, მაგრამ სცდება, ვინც ასე მსჯელობს. მართალია, მე კი ვერ დავიკვივნი მაინცა და მაინც 500 ბროცენტთან აქტივობას, როგორც დღევანდელი საზოგადოების თითქმის უმრავლესობა, მაგრამ ჩემს პირობაზე კი მეც აქტივისტად მომიქვს თავი.

ჯერ კიდევ 21 წელში სოფელ ჯირყვალეთიდან პირველად შემოვყვევი თბილისში წითელ არმიას და მას შემდეგ ქალაქს აღარ მოვეშორებივარ.

„წერა-კითხვას ლიკვიდაცია ვუყავი“- ეგრედწოდებულ სალიკვიდაციო სკოლაში.

უკაცრავად, უნდა მეთქვას: „წერა-კითხვის უცოდინარობას ვუყავი ლიკვიდაცია-თქვა“, მაგრამ, ვინაიდან ახლა საზოგადოთ მიღებული არის შე მოკლებით ლაპარაკი, მეც სწორედ ამ სიმოკლისათვის და აგრეთვე გაგების სიიოლისათვისაც, დროს ეკონომიკის ყოველად საპატიო „თვალსაზრისის“. შიგ ჩართითაც იმავე დროს, მოვასებებთ: „წერა-კითხვას ლიკვიდაცია ვუყავითქვა“.

ღიან, ერთი სიტყვით, ასე თუ ისე წერაკითხვას დავეზარე.

მაგრამ საქმე ამით მაინც არ მოთავსებულა. მოგენსენებათ, რომ ამ ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლიუციის ხანაში მარტო წერა-კითხვის ცოდნით შორს ვერ წახვალთ.

„შორს წასვლის“ საკითხი კი მჭიდროთ არის დაკავშირებული, ერთის მხრით—ტემთან და მეორეს მხრით „ბაგაჟთან“.

ერთის შეხედვით, ტემპისა და „ბაგაჟის“ ანუ სიმძიმის საკითხები ძნელი შესარჩევებელია. კი არიან, მაგრამ საქმეს სწყვეტს მატარებელი ან ავტობუსი, რომ არ ვანსინოთ ეტლი ან უბრალო ავტომობილი, რომლებიც, როგორც მოგენსენებათ, ადამიანს სწყვეტენ ეგრედ წოდებულ მასიურობას და ჰქმნიან უფრო ინდივიდუალური განწყობილებას, რაც ეწინააღმდეგება როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე კულტურული რევოლიუციის მთავარ პრინციპებს.

ტემპისა და „ბაგაჟის“ საკითხს მე იმ თაყიდანვე აუღე ალღო და დავეწაფე კითხვას, გაზეთებისა, ჟურნალებისა და, ერთი სიტყვით, ყოველ-

გვარ გამათვითცნობიერებელ ნაბეჭდი მასალისა, როგორიცაა, მაგალითად, პლაკატები, ლოზუნგები თუ სხვა.

და აი, დღეს უკვე ძვალსა და რბილში მსქეს გამაჯდარი ჩვეულება დილით, სამსახურში წასვლის დროს გზაში გაზეთის ყიდვისა. კარგია: ჯერ რომ ამ მთის თუ იმ ბარის ამხვებს შეიტყობ კაცი, ხოლო შემდეგ—ეგრედწოდებულ „ნარეგში“ არეულ ზოგად მეცნიერულ ცნობებსაც ამოყაჭავ, რაც ადამიანის გათვითცნობიერებას ისე რიგად უწყობს ხოლმე ხელს.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგროძლოთ, „ჩვეულება თუ რჯულის უმტკიცესია“, მეც ამ „ანტირჯულიერობის“ ანუ, უფრო მეცნიერულად რომა ვსთქვათ, ამ ანტირელიგიურობის ხანაში ეს ჩვეულება გადაშეცა ნამდვილ რჯულად.

მოგენსენებათ, რომ რჯულისა და ეკონომიკის ერთ სისტემაში მოყვანა, ასე ვსთქვათ. მოწესრიგება მეტისმეტად ძნელი საქმეა. თავის დროზე ეს მაინც სხვადასხვა რჯულის ხუცებმა ბერებმა და მონაზვნებმა მოახერხეს მხოლოთ. მართალია, ჩემი „ბერება-განდევნილობის“ შესახებ მე კი გადმოგიკართ სიტყვა, წერილის თავში, მაგრამ ჯერ მაინც შორსა ვარ ამ ჩემი ახალი რჯულისა და ეკონომიკის შეთანხმებამდის, მათ სრულს ისევ და ჩემდა სასარგებლოთ მოწესრიგებამდის.

მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანებამდის ყოველ დილით თითო გაზეთი ხომ მაინც უნდა მეყიდა, რასაც უნდებოდა ჩემი ჯამაგირის თითქმის ერთი მეოცედი.

მართალია, „ბაგაჟის“ საკითხს ეს თითქმის ხელს უწყობს, ერთი მეოცედიდან განტვირთვის „თვალსაზრისით“. მაგრამ ყოველი „თვალსაზრისი“ იმითია რამდენიმედ მაინც ავთმყოფი, რომ არსებობს მოწინააღმდეგე „თვალსაზრისიც“.

და აი, თუ ერთი მეოცედიდან განტვირთვის „თვალსაზრისს“ დავუპირდაპირებთ გაზეთით აღჭურვის თვალსაზრისს, „ბაგაჟის“ არა თუ შემცირების, არამედ ყოველ მხრივად დატვირთვის რეალ შედეგებს ვღებულობთ, რაიცა ასეთ წინააღმდეგობაში გვაგდებს ტემპისა და აქიდან უკვე ინდუსტრიალიზაციის „თვალსაზრისების“ მიმართ.

მაგრამ კულტურული რევოლიუციის „თვალსაზრისი“ მაინც თავისას მოითხოვს. უწინარეს ყოველისა კი მოითხოვს ყველა „თვალსაზრისების“ შეთანხმებას.

მოგენსენებათ, რომ უკანასკნელ შენებამდის ეს „თვალსაზრისები“ არც იმდენად მაინცა და მაინცა ბევრი იყო, რომ ადამიანს დიდათ გასჭირვებოდა იმათი შეთანხმება.

მაგრამ ეგრედწოდებულმა გაზეთების ტიპიზაციის შემოღებამ „თვალსაზრისთა“ ჯამიც დაამძიმა კიდევ ერთი ახალი „თვალსაზრისის“ დამყარებით.

და აი, დილით სახლიდან გამოსული მე ესლა იძულებული ვხდები ყველა აქამდის არსებულ „თვალსაზრისებს“ შევეთანხმო ახლა ეს ახალი „თვალსაზრისიც“.

გაზეთის უბრალო შერჩევა, მე, რა თქმა უნდა, დიდათ არ გამიჭირდებოდა, რადგან, ვმადლობ სატანას, წერაკითხვა მშვენიერად ვიცი და, რაც უნდა ცუდი რუსულით ან ქართულით ჩვევს ნაწერი ესა თუ ის კარგი აზრი როგორც ეს ჩვენს გაზეთებს სჩვევიათ ხოლმე, მე იმას მაინც მივხვდები. საქმეს რომ არ ართულებდეს ერთი ფრიად საპატიო გარემოება.

საქმე იმაშია, რომ გაზეთი მე სახვევ ქალაქდათაც მჭირდება. ეს გარემოება ოდნავადაც არ არის მიმართული არც ერთი დღევანდელი ხანის ფრიად საჭირო და სავალდებულო პრინციპის წინააღმდეგ. პირაქით, ხელსაც უწყობს მათ.

მაგალითად, მე, როგორც მუშა კაცი, დილით ადრე მივემშურები სამუშაოზე, საუზმეს და სხვა ასეთ ფუფუნების საგნებს რომ ვუტყალო, უმეგვლია, თითო საათით დამიგვიანდებ ქარხანაში მისვლა. მაშასადამე, იძულებული ვხვდები საუზმისათვის საჭირო ხორავი სასწრაფოდ შევასვიო, „რაც“ ხელში მომხვდება, და თან წავიღო.

ასეთი „რაც“ ვახლავთ გაზეთი. ამაზედ პრაქტიკული ამ შემთხვევაში ცხოვრებას თითქმის არაფერი მოუგონია.

მაგრამ მე, როგორც ნელმოკლე კაცი, ერთი ჭიჭისა და კოვზის ამარა, იძულებული ვხდები ეს ჭიჭაც და კოვზიც თან ვატარო იქით-აქით: სახლიდან—ქარხანაში, ხოლო ქარხნიდან—სახლში. და ეს იმიტომ, რომ სალამოს ჩანისათვის წყალოს, მართალია, მეზობელი მამღვეს, მაგრამ ზედმეტი ჭიჭა მასაც არ აქვს და, რომც ჰქონდეს, რაღაც უნებურულად მიჩვენება ყოველდღე სხვისი შეწუხება. ასე რომ ვხედავ, მაშასადამე, ჩემთვის სახვევი ქალაქი ბუცილებელზე აუცილმეხელია.

როგორც ხედავთ, რუსები რომ იტყვიან: „ჩემ ბოლშე ვლეს, ტემ ბოლშე დროვ“-ო, რამდენსაც წინ წავი-



ერთბაგად

„დამზღვევ სალაროს გქონებო და ტყვი-
როვის გამო ვერ ასწრებენ ავადმყოფების
გასინჯვას და ზეპირად უწერენ წამლებს“.



მეჩივი: — სმენა! ენები ვარედ, ერთად გავსინჯავთ ბარემ.

წევთ ამ მიმართულებით, იმდენი ახალი და ახალი „თვალსაზრისები“ სდგებიან ჩვენს თვალწინ.

გაზეთის ყიდვა რომ მინდა დილით — ეს ცხადია, ცხადია აგროთვე ისიც, რომ რამდენსაც ნაკლებად „განვიტვირთები“ (ფუთით), იმდენად ნაკლებად „დაიტვირთები“ (გაზეთით). მაშასადამე იმდენად უფრო შეთანხმებული მექნება „ტემპისა.. და „ბაგაუის თვალსაზრისები“.

მაგრამ გაზეთის ყიდვის „თვალსაზრისს“ ეკვიტება შეხვევის „თვალსაზრისიც“. საჭიროა ამათი შეთანხმებაც. აქ კიდევ შუაში სდგება საყადელ გაზეთის შინაარსი, მისი სისრულე — სიფართოვე, რომელიც წინააღმდეგობაშია ამ შინაარსის წაკითხვისა და შეთვისების ეკონომიასთან და სხ..

იყიდი პატარა გაზეთს, კარგია: იაფიც არის, 2 კაპეიკი ღირს, სხარტულად ნაწერიც, წასაკითხავადაც სასიამოვნო, მაგრამ როგორ გნებავთ ახლა იმაში შეახვიო შეორე დილით ჩემი ჭიჭა, კოვზი და საუზმე?

იყიდი დიდ გაზეთს, ხარჯი იგივე რჩება, რაც წინედ იყო. მაგონა ახლა ეს ეკონომიკის თვალსაზრისით — მიუღებელია, რადგან ეს ხარჯის შემცირების „თვალსაზრისს“ ეწინააღმდეგება; შინაარსი დიდია, შეიძლება

ვერც ამოსწურო მეორე დილა მდია: ამოწურვა შეიძლება სასმელის, მაგალითად: წყალის; მაგრამ თუ „წყალი“ აჭარბებს მოთხოვნილებას, ცხადია, იმისი „ამოწურვაც“ შეუძლებელია. მაგრამ ამავე დროს დიდსა და მაშასადამე, უფრო ვრცელს გაზეთს ის უპირატესობა აქვს, რომ უფრო მეტს ჩაიტევს. რაც შეხვევის „თვალსაზრისს“ სავსებით ეთანხმება.

და მეც ყოველ დილით ვიხრუკები ამ ორ ცეცხლს შუა.

მაგრამ დიდხანს „ხრუკვაც“ აღარ შეიძლება: ტემპის „თვალსაზრისი“ ამას არ გაბარებთ და თქონც ყოველ დილით იძულებული ხართ... უკაცრავად, თქვენს „იძულებას“ მე რას დავცემ, თვითონ მე, რომ არ ვიყვე იძულებული, დღემდის აუცილებელ სახარჯავ 5 კაპეიკის ნაცვლად, ახლა არ გავიღო მთელი 7 კაპეიკი არა ერთს, არამედ ორი გაზეთის საფასურად: ერთისათვის 2 კაპეიკი, საკითხავად და ამოსაწურავადაც, ე.ი. სავსებით მოსასარგებებლად. ხოლო მეორესათვის 5 კაპეიკი, ნაწილობრივ საკითხავათ, მაგრამ შეხვევის თვალსაზრისით კი მეორე დილით სავსებით მოსასარგებებლად.

ამას ეწოდება ვითომ „თვალსაზრისით“ შეთანხმება.


დიდი-ჯიხანიში

პირველად უნდა შევამტკიცო ეს ჩვენი კულტკომისია. ეკითხოთ — რა არის თუ იცის პია ვალი და მისია? თუ არა იცის, — ისწავლეთ, აჰაა ნოითხოვს წესია. (ნეტავ ხალხისთვის რას მომკის რაც მას არ დაუთესია!).

აქვე უმწვენებს გვერდს დასი, სახელად ჰქვია — ძველია. დასის გარშემო არიან მასწავლებლები მთელია. ამუშავება კი მათი გასაჭირი და ძნელია, რადგან დასს არ ჰყავს პატრონი, ერთგული ხელმძღვანელია.

ქსენონში შევიდინოთ და ვინახულოთ კოლია. როგორ იკავენს ამდენ ხანს გულს ბოლმა რომ მოსწოლია. ყოველთვის ჰყავდა ჯიხანიში წინეთ ექიმი ორია. ბებია ქალიც, ფერმალიც უფლებით თანასწორია. ესლა ერთი გვეყავს ექიმი ორი ათას მეტ კომლშია. დღეში ას სინჯავს ავათმყოფს ვითომცდა ვიყოთ ომშია.

ბაბაიკა.



ოპერა ანუ ანგებობით

ქვეყნის
განათლებლობის

ხელოვნების მოყვარული გახლავართ, მოგესხენებათ და საშინლად მიყვარს თეატრი, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. ამიტომ ჩემი მოხსენება თეატრის შესახებ იქნება და კერძოდ, — ჩვენი სახელმწიფო აკადემიური ოპერის თეატრის შესახებ.

ოპერამ სამართლიანად დაიმსახურა ფართო მასის ყურადღება.

იქნებ არ გჯერათ? მოუსმინეთ:

— მთელი ქვეყანა ვარეგოლიუციონერდა, თეატრებიც ვარდაიქნა, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ოპერის გარეგოლიუციონერებას არაფერი ეშველა, — ასე ამბობენ ტფილისის მშრომელთა ფართო მასები. ამას გაიგონებთ ყველგან და ყოველთვის. ამას შემდეგ არავის არა აქვს უფლება სთქვას, რომ ოპერა უყურადღებოთ არის მიტოვებული.

არც მეორე მხრივ არის ოპერა უყურადღებოდ: ვინახავთ. მოგსწრიათ, ან გაიგიათ ოდესმე, რომ ერთ დაწესებულებას სამი დირექტორი ყავდეს?

რასაკვირველია, არა.

დირექტორი, არსებითად ოთხი იყო, მაგრამ შტატი შეამცირეს და ერთი დირექტორთაგანი უმუშევრად დატოვეს.

რა დრო დადგა?! დირექტორებიც უმუშევრად რჩებიან!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ოპერას მხოლოდ სამი დირექტორი-ღა შერჩა, იგი (ოპერა) მაინც განაგრძობს წინსვლას და ამჟამად მას საკმაოდ მოქნილი კომერციული დაწესებულება შეიძლება ეწოდოს.

მართალია, სახელოვნო დაწესებულებას საერთოდ კომერციული მოსახრებები მეორე პლანზე აქვს გადადებული, მაგრამ დირექტორი რის დირექტორია, თუ ახალ განხრას არ მისცემს ოპერას.

მართლაც, თუ კი ცხრაწლელი შეიძლება იყოს საქონეველო-ეკონომიური, ინდუსტრიალური და სხვა ათასგვარ ვანხრებით, რატომ ოპერას არ შეიძლება ქონდეს კომერციული განხრა?

მართალია ისიც, რომ დირექტორიატმა კომერციული თვალსაზრისი ყველაზე წინ დააყენა, მაგრამ რა უყოთ გაქანება მას რის გაქანებას! მოგება თუა, მოგება იყოს! არც ეს არის ტყუილი, რომ ოპერა...

მაგრამ დაუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელიც, ჩვენი მთარგმნელების სიტყვით რომ ეთარგმნათ, ლურსმანს, „გვოზდს“ წარმოადგენს და სადაც მარხია ძალღის მთავარი თავი.

ჩვენ ვლპარაკობთ იმ ერთად-ერთი უდიდესი მიღწევების შესახებ, რომელთაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს როგორც თვით აკადემიურმა ოპერამ, ისე თვით აკადემიურმა დირექტორიატმა.

რა მიღწევა ასეთი?

• — ინებეთ:

არა თუ საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით თქვენ ვერ ნახავთ ისეთ სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ და სამეცნიერო დაწესებულებას, სადაც რამოდენიმე მუშა მაინც არ მოიპოვებოდეს.

ასე არ ვახლავთ ჩვენს აკადემიურ ოპერაში, აქ სულ სხვა მდგომარეობაა. რაც უნდა სანთელი იზოვოთ, თვით ზაპეის მთლიანად ხელში რომ დაიჭიროთ და მის 40 ათას ცხენის ძალიან სინათლით რომ ედიოთ, ჩვენს აკადემიურ თეატრში, რომლის ოპერები ყოველთვის ანშოლებით მიდის, ერთ მუშასაც ვერ იპოვით!

საკვირველი კი შეიძლება იყოს, მაგრამ რას იზამთ, ოპერაში მუშას მაინც ვერ ნახავთ!

ოპერა ანშოლებიანიც არის, მაგრამ რა უყოთ: მუშას შოგ მაინც ვერ იპოვით!

პირდაპირ განსაცვიფრებელია: ასეთ პატარა ქვეყანაში ასეთი უდიდესი მიღწევები!

მერე და როგორ მოახერხა ოპერამ ამ მონაპოვარის მიღება?

სრულიად უბრალოთ: ეს ამბავი, რომელიც ჩვენს ოგის, უბრალო მომავდადებისთვის მართლაც გაუგებარი და მიუწოდებელია. დირექტორატისთვის ყოველად მარტივი რამ არის, თურმე საკმარისი ყოფილა ბილეთების ფასი რალაც სამ-ოთხჯერ, ანუ 300—400 პროცენტით გაზარდო, რომ არც ერთი მუშა ახლოსაც არ მოგეყარება. მაგალითად, ოპერაში მარტო შესასვლელი ბილეთი ღირს 2 მანეთი; ეს ბილეთი იძლევა მხოლოდ შესვლის უფლებას. ამას გარდა, ამ ბილეთით (2 მანეთიანით) თქვენ სრული უფლება გაქვთ იდგეთ ფეხზე მთელი სპექტაკლის განმავლობაში. და ეს ფეხზე დგომა შეადგენს არა მარტო უფლებას, არამედ ვალდებულებასაც.

რასაკვირველია, თქვენ, რომელმაც ბილეთში ორი მანეთი გადაიხადეთ, შეგიძლიათ ჩამოჯდეთ, მაგრამ მხოლოდ რომელიმე კიბეზე, ან ფოიეში. თვით თეატრში ჯდომის უფლება კი, ნურას უკაცრავად, მაგრამ არა გაქვთ.

ეს 2 მანეთიანი ბილეთით.

ხოლო, რაც შეეხება დასაჯდომ ადგილს, მის მოპოებაზე უბრალო კაცს შეუძლია მხოლოდ იოცნებოს.

ამას შემდეგ ცხადია, რომ ჩვეულებრივი მუშა ახლოს არ გაეკარება ბილეთის საღაროს: ერთიც ვნახოთ, ვინმემ სტაცა ხელი და ბილეთი აყიდვინა, მაშინ? ხომ დაირღვა მისი ბიუჯეტი?

ბოროტი ენები სხვათა შორის ამბობენ შემდეგს:

— დირექტორიატმა გასტროლიორები მოიწვია და იითო საღამოს რამდენიმე გასტროლიორი ერთად გამოჰყავს ხოლმე, რაც არ არის მიზანშეწონილი.

რა უყოთ მერე! გასტროლიორს გასტროლიორთან ურჩევნია! მართალია, იმავე ბოროტი ენების თქმით, თეატრის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხშირად გასტროლიორებს მიაქვთ, მაგრამ მაგაზე რა გვეთქმის: გასტროლიორიც ხომ ადამიანია. მასაც იქნებ წვრილი ცოლ-შვილი ყავს და დღეში ორას-სამასი მან. სჭირდება(მით უმეტეს, თუ კი მისცემ).

უდავოა ისიც, რომ გასტროლიორების ერთად გამოსვლის დროს ჩვეულებრივი წესით ბილეთს ვერ მიიღებთ, მაგრამ პროტექციით ხომ იზოვი? ძნელი დასაჯებელია, რომ კაცს სამ დირექტორში ერთი ნაცნობი არ გამოგერიოს, ან დირექტორის ნაცნობის ნაცნობი მაინც არ გაყვდეს! მაგაზეანეთ ნაცნობი, ან ნათესავი და ბილეთს გააჩენს. მართალია და რა საკდარისია მეშინაურად ჩადგე რიგში მხოლოდ იმისთვის, რომ სამი საათის დგომის შემდეგ გამოგიცხადონ, რომ ბილეთი აღარ არის!

აკადემიურ ოპერის სეზონი დაიწყო ანშოლებით, შუა სეზონში ანშოლებით მიდიოდა, დასასრულშიც ანშოლებით მიდის!

ეს არის დიდი მიღწევა.

ამას გარდა, უდიდესი მიღწევა ის არის, რომ ანშოლებიან ოპერის თეატრი გაიწმინდა უბრალო ხალხისაგან, ჩვეულებრივ მუშებისაგან და იქ მხოლოდ ჩაკარხ-მალეხელი, ჩაპუდრული, ჩაკრუბდემინებული და ჩალორიგან-ექტორია - ინდიგო-ჩაშევიოტებული სუფთა საზოგადოება დადის!

ასე სტოდნია ანშოლებიან ოპერას.

აღმწარ-აღმწარსან.

ინტრიგები

ჩვენი ტრესტის, ერთ-ერთი განყოფილების გამგის მდივანი, როდია ბედის მომჩივანი. ის ქალთა ახალგაზრდა, სახელად ჰქვია უენია. თუ არ შეამცირებ და მიეფერები მუდამ შენია. გამგე განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობა მას, გარეშეს კი არ მიაგავს, მიაგავს ნამდვილ ძმას. ეფერება, უწერს ავანსებს... (ამით თავის საქმეს როდი დაავსებს).

ერთ დღეს შესდგა მოსამსახურეთა საერთო კრება. უენიას არ დასჭირებია ბევრი მოფიქრება. პირველად იმან აიღო სიტყვა და დაუწყა გამგეს (რასაკვირველია, განგებ) გაკიცხვა:

— მე, ამხანაგებო, უნდა მოგახსენოთ გაკვირვებით, არა სიჩუმით, არამედ დაყვირებით, რომ ჩვენი დაწესებულება ძლიერ უპატრონოთ იმყოფება. მას აქვს ერთი ავად მყოფობა: ეს არის უწესრიგობა და დაუდევრობა. (რა საჭიროა მართო ლაპარაკი, ენამჭევრობა?)

ამ დროს უენიამ მთლად დაჰკარგა გამგის „უვაჟუნია“ და ყელში მრისხანებით გადახედა გამგეს (რასაკვირველია, განგებ!).

— მაგალითად, ავიღოთ ჩვენი გამგე. მისი ქცევა ნუ თუ არ არის საკვირველი? მთელი კვირობით მთხოვნელებს არ იღებს, (ჩვენ კი ყველას ჰკუთს გვარიგებს!), კაბინეტში მხოლოდ ორი კვირა ჩერდება, ამ დანაშაული-სათვის, მგონია, რომ საყვედური ერგება. ესლა თვითკრიტიკის რეჟიმი, ილაპარაკეთ გულახდილათ, რისი გემინიათ?

მთელმა თანამშრომლებმა დააღეს პირები და შეხედეს უენიას გაკვირვებით, შემდეგ კი „მრისხანე“ გამგეს. უენია კი სდგას უშიშარი, არ სცხრება და აცნობს კრებას:

— ამიტომ, ჩვენ ამხანაგებო, უნდა ვუთხრათ გამგეს, რომ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, რათა ამითი გამგემ, ვითომც და განგებ, მშვიდობიანათ დასძინა:

— შე ვესალმები ამხანაგ უენიას, რაც გულწრფელნი ვიქნებით, ის გვირჩენია. მომწონს მე მისი გამბედაობა, მას უნდა მიჰყვეს მთელი თაობა. ჩვენ გვინდა ასეთი დაუნდობელი კრიტიკა, რომ გამოვიტანოთ იქიდან, საქმე და სარგებელი, ჭეშმარიტების და ფაქტების მალადგებელი. კიდევ ვისა სურს სიტყვა? ამხანაგებო, გულწრფელად ილაპარაკეთ!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თანამშრომელს უტრიალებდა თავში ერთი ფიქრი: უენია მოეჩვენათ ყველას გიჟათ: ხვალ უთუოდ ნინახლებს ის შრომის ბირჟას, დღეს მართალია, გამგემ, თუმცა გაუცინა მას განგებ, მაგრამ ხვალ...

გამგე კი ალერსიანი, როგორც ფინია, არც წარბსა ჰხრის და არც ეშინია, თავსა სთვლის მტრედათ და მხიარულად მიმართავს კრებას:

— კიდევ ვისა სურს სიტყვა?—და გაღიმებით შეაჩერა „გლაგუზნი“—ზე თვალი,—ამხანაგო პროკლე, სთქვით სიტყვა მოკლე?

„გლაგუზნი“ წამოწითლდა ოდნავ და გამგის კრიტიკას მოდგა. მან სთქვა სიტყვა სიმართლით სავსე, დასასრულს სკამზე დაეშვა და ფიქრობდა ასე:

— უენია, ალბად, არ არის მისი საყვარელი ან ნათესავი, თორემ რისთვის უთხრა მას სიტყვა ცეცხლის ჰქვესავი?.. სჩანს, ჩვენს გამგეს, არ გაეხარა სიმართლე განგებ, მას ესმის, ალბად, თვითკრიტიკის დიდი მიზანი... (მართლა კარგი ვინმე ყოფილა... ესლა კი ვიცანი!)

„გლაგუზნი“—ს შემდეგ ილაპარაკეს კიდევ შვიდმა, ჯერ-ჯერობით კრება მიდიოდა მშვიდით. მაგრამ, როდესაც „ზავხოზმა“ აღუმაღლა ტონი, ჯერ ბარიტონით, შემდეგ ბანით, (გავარდა ფურთი, აირია მთლად მოედანი) გამგე გაწითლდა, როგორც ლალი, დაბარბაცდა, როგორც

მთვრალი, აენთო, როგორც ცეცხლის ალი. მოთმინების აივსო ფიალა, „ზავხოზის“ სიტყვამ ციბოუსტრით დაატრიალა, წამოავლო ქუდს ხელი, თითქოს გადაასხეს მას წყალი ცხელი, მოჰკურცხლა გარეთ, გულს ჩაიხვია ფიქრები მწარე... „ზავხოზ“—მა კი შიშისაგან დაღვარა ცრემლები ცხარე.

ერთი კვირის შემდეგ, გამოაკრეს კედელზე სია, რომელსაც გარშემო მთელი შტატი შემოესია; სამსახურიდან დათხოვნილი შვიდი კაცია. — ამხანაგო უენია. გვიკვირს საქმე შენია! ჩვენი გული მოჰკლეს, მაგრამ შენ რატომ არ შეგამოკლეს? შენ არ იყავ პირველი, გამგეს, რომ წაუყენე ბრალდება! საკვირველი?!

დათხოვნილები წავიდენ საჩივლელად ტრესტის მმართველთან და სთხოვეს, რათა შეამოკლონ გამგე, მაგრამ...

როდესაც ესენი ისხდენ მმართველის მისაღებ ოთახში, ცქრიალთ შემოვოვდა უენიაც მათში, მომჩივნებმა განგებ ჰკითხეს შიკრიკს, რომელსაც თვალეები ჰქონდა მწყრალი.

— ნეტავი, ვინ უნდა იყვეს ეს ქალი?
— ნეულღვა ჩვენი მმართველი!

მომჩივნებმა უკმაყოფილოთ დახარეს თავები, დავთარი დაეზნათ, მიხვდენ, გაიგეს უენიას ინტრიგები და მეორე დღეს შრომის ბირჟაში დაიკავეს გრძელი რიგები.

ზორბა.

ქსოვრისი

ძმაო ჩოხუნდარ, ისევ გწერ ბარათს, ვფიქრობ: პასუხი დავავიანე. სულ ასე ვამხელ და გეტყვი მარად, სოფლის საქმეებს რა აზიანებს!

— დღემდე არ არის აქ წყაროს წყალი, თუმცა კი მასზე ზრუნავდა ბევრი. ტენნიკმა კიდევ აიღო „პლანი“, მაგრამ დღეს მაინც იცინის მტერი, რადგან სოფელმა მიანდო ბედი, ვილაც „პოდრახიკს“ და კომბინატორს; გლენობას ჰქონდა მისი იმედი და, ბედთან ერთად, ფულებიც ანდო! მანაც მოაწყო „გამასქნება“, აღავიძეა იმისი გვარი, თუმცა ის კვატის მიემსავსება, მაგრამ ნამდვილად მცხეთელი არის!.. კომისიაში შემავალ გლენებს მოახრევიანა სულის წინ თვაი. მოქნილი ენა რას არ ახერხებს, და განახლა თეთრად მან შავი! იმ საწყალ გლენებს უწერენ სახლ-კარს, რისთვის, ან რატომ არავინ ფიქრობს! პირველად ვხვდები სამართალს ამ გვარს და მასზე ფიქრი სიმშვიდეს მიქრობს. მაგრამ სიმართლე ბოლოს ხომ მაინც თვისას გაიტანს, გზას არ დაკარგავს, და კომბინატორ ხსენებულ რაინდს, როგორც წესია ისე აღაგმავს...

— მხოლოდ კი წყარო გვეღირსოს როდის? ასე გაიხმის გლენებს ჩივილი; თუ მართალია, რომ შეფი მოდის, მადლე გაიარს გულის ტკივილი!..

ლანდელი.

ქ ვ ი თი

დეკემბერიდან



ჩარჩი (მეპურეს):—ეს რა მატყუარობაა! ორი კილოს მაგიერ, კილო ნახევარი პური მიგიცია ჩემი ბავშვისათვის!

მეპურე: არა, ძმაო, მე სწორად ავსწონე, ხოლო გირების მაგიერ სასწორზე დავდე ორი კილო საპონი, რომელიც შენს ღუქანში ვიყიდე.

წესტაფონი. ტვილიზიდან ჩამოსულ დასვლებს უთაურობით გამართულ ლიტსლამოზე ხალხი ნასიამოვნები დაიშალა და მოითხოვდნენ ბილეთების ფულის უკანა დაბრუნებას.

იქიდანვე. ვინაიდან ადგილობრივ ნოქრების შესახებ საყვედური გაისმის, რომ ისინი საქონელს თავიანთ ნაცნობებს აძლევენ, ამიტომ ნოქართა კავშირმა გადასწყვიტა ახსნა-განმარტებისათვის გამოსცეს წიგნი: „რა საჩვენებლობა მოაქვს საქონლის გადანახვას ნაცნობ-მეგობრებისათვის“.

დემუნტი.

სენაკი. ვინაიდან სენაკის სასამართლოს აღმასრულებელ ლეონტი კიზირიას აქვს მსოფლიოში ყველაზე უფრო უმძიმესი პორტფელი, რომელშიაც ინახება ძველი და ახალი „საქმეები და რომელიც იწონის რამოდენიმე ფუტს. — ამიტომ პორტფელის სატარებლად მას აჩუქეს ვირი, რომელსაც ეკალება ხსენებულ პორტფელის ტარება.

მ. ველისპირელი.

იერული სცენა

ეიჩემა ჩემმა გარუქაბებულმა და გაკაპასებულმა ცოლმა ედუკიამ — წეიყვანე და მიბარე გიგლაიე კლამიო. უსტავლელი და ჩიჩიეი შენ რომ მყავხარ, იგიც მეყოფა, თვარა შვილი რავე უნდა დამირჩეს უსტავლელიო.

აფსუხ, თავმოყვარე ოქრუელავ, რავე გაწორებს მიწასთან კუდიგრძელიშვილის ქალი. უსტავლელი ხარ, ბებერი ხარ, ჩიჩიეი ხარო. მაინც ვერ გამოგია — თუ უსტავლელობას ჯავრობს ჩემსას ე ჩემი ქალი, თუ მოხუცებულობას?

უსტავლელობას თუ იკითხავთ, უსტავლელი კაცი ქე ჯობია ახლანდელ დროში ნასტავლ და ჩალალსტუყებულ იდელიკეტს. ნასტავლი კაცი ყველა კოტრიალეოცუნერია, ჩემს მოხუცებულობას თუ იკითხავთ, რა ვიცი ე ოხერი, — ვერაფერში ვგრძნობ სიბერეს.

ჩიჩიეი და ღარიბი თუ ვარ, ეგი ჩვენი აღმასკომის ბრალია. ცოციალისტობა და თანასწორობააო იძახის და თანასწორათ გვაწერს ნალოგებს მე და ნათავადარ ერისთაეს. ამან გამწურა და მომკუტა წელში ისთე. რომე დღეს ბარორის წიხლ-დასაჭერი შევიქენი. სხვას რადა უნდა უძრახო, როცა ჩემი ჯვარ-ნაწერი ცოლიც რომ მიჯაბნებს?! მაინც ე შენოდელი რომ გამოჩნდა ჩვენში, დეიფსო მისი გამომგონის ოჯახი, ჩეიწერა შითე ჩემი იდუკიაც, და იმის მერე ვერ ვცნობილობ, რაცხა სულ თლად გამეიცვალა. ახლა დოუჟინია და არ მიყვარხარო, გეგაქცევიო მელაპარაკება. მარა მეტი არა ჩემი მტერი მაგან ვერეფელი ვახებხოს. რავეც ახლა ფრანციის ბურჟუაზია ვერ გეგაქცევა პროლიტალიატის რისხვა, ან და რავეც კატის კლანჭებს თავი ვერსად წოუფა, ისთე ედუკიაც ვერსათ წავა ოქრუელესგან. ქალი დამიბერდა, მგონია; ვერსად ვერც მოუძებნი თავში შავ თმას, გამოდის ახლა ამისტანე ქალი და არ მიყვარხარო მელაპარაკება. დაწყევლოს და დალუხროს ღმერთმა! იმე, რამ გადარია ამ სიბერეში ე დედაკაცი? გეგაქცევიო. რას ქევა გეგაქცევა? რავე, გუშინწინ კი არ დამიწერია ზაქში ჯვარი, რომე ცოლმა გაქცევა გამიბედოს! ცხო-

ნებულ ნიკოლოზეს და მის მოადგილეს წმინდა რასპუტინსკის დროს მაქ დაწერილი ჯვარი ეკლესიაში. მერე იმისტანე ქორწილი გარეეხადე რომე ნახევარ საპალნიანი კური მქონდა საბსე და ნახევრამდე დევიყვანეთ.

ჰო, იმას მოგახსენებდით. ეიჩემა ჩემმა ცოლა ედუკიამ, წეიყვანე და მიბარე გიგლაიე სკოლაშიო მე რომ მკითხვით, სულ არ უნდა სტავლა გლეხის შვილს. გლეხი მაშენაა გლეხი და მშრომელი, როცა უსტავლელია, თვარა პეტერე ანაბანი თუ ისწავლა, მერე უკადრისობს ხელში თიხის ალებას და იქეცევა მშრომელ ელეემენტის მაგიერათ მკამელ ელეემენტათ. მიდის ქალაქში და ტორტუალეზე სიმღერის რეპეტიციას აკეთებს, ან და უყურებს და აკვირდება, ვერიკას აცვია უფრო მოკლე კაბა, თუ ნინიას, ვერიკას უფრო მეტი მოუჩანს ბარძაყე თუ ნინიას, აი, რაველ საქმეს და მუშაობას ეჩვევა ჩვენი ბოვშები, რომლებსაც ჩვენ ჩვენს ნაშრომს და ნაოფლარს თავზე ვაყრით.

შრომის სკოლაო — გეიძახენ, მე ამ შრომის სკოლების ვერაფელი გევიგე. ვერც შრომას აჩვიენ და ვერც წიგნს ასტავლიან. თიხის დაჭერას და მუშაობას კი ავიწყებებენ. რა ექნა ახლა? ორ წყალ შუა ვარ. ვასტავლო თუ არა ჩემს გიგლაიას, წეიყვანო თუ არა კლამი? მარა ამდენ ფიტრს მაცლის განა ჩემი რუქააელე ედუკიე? წეიყვანე და წეიყვანეო. მეც რაღას ვიზამდი? ავდექი პარასკებ დილას, გევიძლოლე წინ გიგლაიე, გადავკიდე ფხარზე ფეხებ-შეკრული კვატები და ვარიები და გაუდექი იარმუკაში. იქა თავმოყრილი ყოველიფერი რაც კია ჩვენს სოფელში რამე კუნტურულია: აღმასკოვი, კომპარატია, წითელი სასადილო, კლასი. გავკიდე კვატები და ვარიები, დევიბერტყე ჩიხის კალთები და ავაბიჯეთ მე და გიგლაიამ სკოლის კიბეზე. შემოგვიხვდა წინ სკოლის გამგე, ძალიან კაი კაციო. დამიჯინა ბოვში პირველ ჯგუფში, ასე ავასრულე ჩემი ედუკიეს ბძანება.

გიგო ხონელი.



— ადე, ადე! შენ, ჩემი იკითხე ეს გამხმარი კაცი რომ დავეცე, თორემ შენ რა ვიშავს!

ქპით ხაზინჯან

გახაფხული მოახლოვდა, თედოს ოჯახი ხელმოკლეობამ შეაწუხა. შემოაკლდა ხორაგი. საერთო დოვლათი დაეღია. წერილ-შვილს ტანსამოსი გაუტევდა.

— შე ოჯახ დასაქცევო, რას წამოსწოლილხარ მხარ თეძოზე? — რატო ბალონებზე არათერს ჰფიქრობ! ზო ჰხედავ რომ სიტიტვლე ცალკე აწუხებს და სიმშვილ-სიცივე — ცალკე! — გაკაპასებულმა ცოლმა მიაცხაბა წამოწოლილ თედოს და რახუნით გაიხურა ქონის კარები.

თედოს მოავგონდა შარშან ამ დროს ქალაქში მისმა მეზობელმა მიხამ, რომ ხეების ნერგები კარგ ფასში ვაყიდა და მაშინვე შეუღდა საქმეს.

მეორე დღეს დილით ადრე მახლობელ ტყისაკენ გაეშურა ბარით, სალამომდე ერთი ურემი იფნისა და რცხილის ნოჩი ნერგები ამოთხარა ფესვებიანად და ამ დამესგე ქალაქის გზას გაუღდა.

— მალადრი დრავაა... ბაყილოები! ქუჩიდან ქუჩას გასძახოდა თედო, რომელსაც ეზოებში რასარგავად ევაჭრებოდენ ნერგებს.

თედომ უროში ახალ ქუჩაზე შეაბრუნა.

— ბაყილოები... მალადო ლეს — დრავა!

მეურმესთან ერთი ჩასუქებული მოქალაქე მივიდა. თედოს ეს სახე ენაცნაურა... კარვად დათქარდა და იცხო შუაბაზრის ერთი ძველი ფართლით მოეაჭრე, რომელმაც ამ შემოდგომაზე დამავალი ჩითები შეატყუა მამასისხლად.

— ნამყენები, ვაშლი, მსხალი:... — მის გასაგონად გასძახა თედომ ქუჩას...

— ამხანაგო, კარგი მსხალი დაიხსამს?

— მსხალი იცის, ტავარიშქ. რომა, თითო ორორი გირვანქა გამღვა, ნამდვილი გულაბია! — უთხრა თედომ და რცხილის ნერგი გადააწოდა.

— ანტონოცკი ვაშლმაც გაქვს?! — აი, ნამდვილი ანტონოცკია, ტავარიშქ! ახლა იფანის ნერგი გადააწოდა თედომ... ვაჭარს ჭკუაში დაუჯდა „ნამყენების“ ყიდვა... ათიოლე ძირა გადაარჩია და რაც ღირდა მისცა...

— ეხლა მე და შენ ქვით ვართ, წაღი ეხლა და საცა შენი სოქვა, ჩემოც არ დაივიწყო! — მიაცხაბა თედომ, როცა ვაჭარი ქუჩას მიჰყვებოდა...

— ვაჟა... ნახე რანაირი რამეები მიმიტანა... — ვაჭარმა უთხრა ცოლს და ნერგების კონა გადააწოდა. ვაჭ-

რის ცოლი სოფლელი ქალიცოდა ადებლად შეეძლო უბრალო ბაბისა და ნამყენების ერთი - შეორესგან გარჩევა.

— ქა, ე იფნისა და რცხილის ბაყილოები რა ეშმაკათ გინდოდა?

— ვა, როგორ თუ რცხილის და იფნის ბაყილოები! გულაბი და ანტონოცკის ნამყენები მაშიტანია... თითო ძირში ათი შაური მიმიცია!

— გამოყეყენი შენა აჰა, რაც შენი საქმე არ არის ნეტა რასა ჰკიდებ ხელსა!?, ნამყენები კი არა, რცხილისა და იფნის ძირებია...

ვაჭარი ხელად გამოვარდა ქუჩაში. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ გვიანდა იყო... „ტეტია“ აღარსად სჩანდა...

ნიახური.

უსტარი

გოლოზრი, აუთ, მაზრა

სასადლო ვაგვიხსენს, ჰქვია „კოლექტიური“ ნექტარი სდის საამო, შუენ შარბათი ღვთიური. ღვინო თეთრი იციან (წყალს ბევრს ირევს მგონია) თორემ ღვინო ასეთი, ძმაო, ვაგიგონა?

მჭადს ყიდიან გირვანქას... (ობ! ხსენებაც გრცხვენია ღირსი არის წერილის, მართლა შესარცხვენია). აბაზიო გირვანქა, — ერთი მუჭა მჭადია.

ამას არვინ უყურებს თუ აქ რასა სჩადიან). იქვე გვერდზე კოხტად სდგას ვით ობოლი ღუქქანი ილარიონ შიგ ვაჭრობს კაცი ჯიბე-მსუქანი.

ზედმეტ სახელს „შანციანს“ ეძახიან ილოსა იშკილებით აჯობებს თავადიშვილ ფილოსა გებაყლე — შეხედავ, — ხან კი მიკიტანია.

ყველა მასთან ქვიფობს ვანო, პეტრე, ტანია, ვერ ვაგიგე რა ხდება საქმე არის რაშია.

უბატენტო დუქნებში ბუქნა და თამაშია! უცებ მოარბენებს ჩაფით თეთრსა ღვინოსა, (უქეთესი მუღლამი ღმერთმა შეორცხვენოსა).

დაპატოებს ჯერ თითონ თითო-თითო ქიქაზე, შემდეგ სმა გაბოდება ერთმანეთის უინაზე, ისმის მრავალ-უამიერ, საღამოდან დილაამდე, ზოგი იქვე დარევა, ზოგი იქვე შინამდე.

ვაპ. კორწოხედი.

ჯოჯოხეთის კუთხე

ბარონული
გიორგიშვილი

ჩემი უნდა... მისი სულ სხვა აზრის

ცოტა ხანი დარჩა... წმინდას თუ გადაჩა!

სოფ. კორცხის (ზუგდიდის მაზრა) კომკავშირმა თავისი რიგების გასაჯანსაღებლად მოაწყო კულტურა-სპორტობის ღონისძიება, თამბაქოს წყეისა და სხვა ასეთი ცუდი ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ.

ცენტრს მიმართეს — გამოეგზავნათ მათთვის კულტურა-სპორტობის ხელმძღვანელები.

ცენტრმა, რა თქმა უნდა, დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები და გაგზავნა სამი კაცი.

— ბიჭებო! — უთხრა აღინიამ სიჭინავსა და განაჩინა და სამივე ერთად შეაჩერეს თავისი ბედაურები. — აი, აქ მშვენიერი რესტორანია, მართალია, დაგვაგვიანდა, მაგრამ, არა უშავს!

აღურთოვანებულმა ამხანაგებმა ერთხმად შესძახეს:

**ხელი და თავი გაუხმეს
ვინც უღალატოს ძმასაო.
ჩვენ როდის გავეკცევოდით
ასეთ დროს ვამა-სმასაო.**

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, საქმე ჩვეულებისა-მებრ წავიდა და მივიდა ლოლიკურ დასკვნამდე.

როცა ცენტრმა დაიგვიანა, ადგილობრივმა მომხსენებელმა დაიწყო მოხსენება ღონისძიების წინააღმდეგ.

— არც მასეა, საქმე შენ რომ გგონია ყმაწვილო! — მოესმა პროტესტი მომხსენებელს და...

კარებში შემოვიდნენ ცენტრის რწმუნებულები.

— თუ კაცი ხარო, წადით და ცხენებს მიგვიხედეთ. მართალია, ჩვენ კისრამდე მაძლარი ვართ, მაგრამ ცხენებს არაფერი უჭამიაო! — გასცა განკარგულება რწმუნებულმა.

— ამხანაგებო, — დაიწყო მეორე რწმუნებულმა, — თქვენ მოხსენება გქონდათ ღონისძიების წინააღმდეგ. თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ ღონისძიება ვართ, არა, ჩვენ დღეს იმიტომ დავითვერით, რომ... რომ... — და მიუბრუნდა ამხანაგს. — რატომ დავითვერით?... ჰო, იმიტომ დავითვერით, რომ თქვენთვის თვალსაჩინოა, პრაქტიკაზე გვეჩვენებია მთავარი კაცი... აი, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ დავითვერით... კარლ მარქსი ამბობდა: **მიზანი ამართლებს საშუალებასო.**

— კარლ მარქსი კი არა, ბებელი ამბობდა, ბიჭო! — გაუსწორა ჩუმად ამხანაგმა.

— სულ ერთია ვინც ამბობდა: მინც ვერ მიხედვებიან!

- არაფერი არ იცი შენ.
- შენ არ იცი...
- ვინ არ იცის?! შენი მამისული...
- შენი...
- რაო?... — და ატყდა მათ შორის აყალ-მაყალი და ყოველნაირი ჯურის გინება.

მაგრამ რწმუნებულებმა „ლაშქრობა“ მაინც ჩატარეს.

**შეჯდნენ თავიანთ ცხენებზე,
გააჭენ-გამოაჭენეს,
თავისი ვაჟკაც-გმირობა
სოფელში ყველას აჩვენეს.**

ჩვენ ამ ამბავს არ შეგვატყობინებდა „კვიმატი“, მაგრამ რაედენ გახარია (ერთ-ერთი რწმუნებული) დაბეჯითებით მოითხოვდა „ტარტაროზში“ ამ ამბის მოთავსებას.

ჩვენც შევესარულეთ მისი სურვილი.

პარტიულ წმენდის მოახლოებამ ბევრ პარტიულს დაუკარგა მოსვენება და გაუტუნა ძილი.

მაგრამ წარბილ ვერ შეტნარა ლანჩხუთის გლეხკომის თავმჯდომარის, რომელსაც ასე ახასიათებს „ლია-ლუა“:

**ის გლეხკომში მსახურობს,
კაცი დიდზე დიდია,
და გლეხკომის ქონება
მას ფეხებზე ჰქილია,
ფეხით სვლას არ კადრულობს,
დადის ველოსიპედით;
კულაკს ხვდება აღერხით,
და გლეხებს კი — სიყმედით.
„უნდა მოვიხმარო
ეს დროება და ხანა“...
საკუთარი აავო
მან ავურის ქარხანა.**

გასტეკრის სიამოვნებით თავის ქარხანას ველოსიპედზე მჯდომარე გლეხკომის თავმჯდომარე და ასე ესაუბრება თავის საყვარელ თავისთავს:

— არა! მე საფრთხე არ მომიქვს. მე არ მოვხდები წმენდაში. ქარხნები ავაშენოთ... აი, ეს ავურის ქარხანა ჩემია, მე ავაშენე... განა ეს ინდუსტრიალიზაცია არ არის?! იყავ, გულო, მშვიდათ, — მე არ მოვხდები წმენდაში.

აი, ასეთ შემთხვევაზე იტყვიან: „კაცი ბჭობდა და.. ტარტაროზი იცინოდა“...-ო.

**ულაპავს როგორც მამალი... გლმეს არა
ამცხ წამალი.**

**ამ ფერხალი — სანდროს... ესლა, სანდროს
სხვა დროა.**

აფთიაქისა და მედიცინის კაცია სოფ. ხევის (ოზურ-გეთის მაზრა) აფთიაქის გამგე — მეთოდე ჩხიკვაძე. კაცს წამლებთან აქვს საქმე. თეონაც „ავადმყოფია“ და ყოველდღე ჩამოლენიმი ბოთლ წამალს (ე. ი. ლენოს) სვამს. მაგრამ არიან ისეთი ავადმყოფებიც, რომლებსაც სხვა წამალი (ნამდვილი წამალი, აფთიაქის წამალი) უსაჭიროებათ. თუ ბედი გაქვთ, მეთოდე აფთიაქში დაგხვდებით, თუ არა და — სანდროსას იქნება საქეიფოდ. არ გაგიწყრეთ ღმერთი — არ შეაწყუბოთ. თორემ სულ ერთია. სანდრო მანც უარით გამოგისტუმრებს: — ჩემსას არ არისო.

„ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსაო“ — იტყვიან.

აფთიაქის გამგეს არც ადგილობრივი ფერხალი სანდრო ჩამორჩება ლენის სმაში. როცა დათვრება, შემდეგ უყვარს „ანგარიშების გასწორება“, არა ნისისა და ვალისა, არამედ შურისძიებისა. ამ კაცს ასე ჰგონია, თითქოს ბატონყმობის დროს ცხოვრობს (და, რასაკვირველია, ბატონი თვითონ არის).

**„ოტელოა“ ეჭვით სავსე,
გვერდში უზის „დედემონა“.
იორდანეს საქეიფი
რატომღაც არ მოეწონა..
და ესროლა მას „ცენტრალი“.
მტერს არ მოხვდა ტყვია ცხელი,
რადგან სანდროს ამოუტრეს
გასროლის დროს თოფზე ხელი.**

(„წარბა“).

ადგილობრივ ხელისუფლებას ჰმართებს ამ „წამლის ხალხს“ შესაფერისი წამალი გამოუყეროს და აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება ხევიდან წასაბრუნებლად.

„კამკანიებს“ გადაყოლილი



- კაცო სად ხარ, რომ არ ჩანხარ!
- საგაზაფხულო „თესვის კამპანიას“ ვატარებ!
- როგორ, გაზაფხული ჯერ არცაი დამდგარა და შენ უკვე სთესავ კიდე?
- დიახ, სიტყვებს.

ხონი

იქნებ ხონზე ლექსის წერით, „დიდ-კაცები“ დავიმდურო, მაგრამ ვერ ვცვლი დაპირებას, გულთი მწადის გემსახურო. სიმართლეს და „თვით-კრიტიკას“ ჩემი გრძნობა ენაცვალოს. იქნებ ხონის „დეფექტები“ (კოტა მანცე შეიცვალოს. ჩვენს ფურნეში პურის ყიდვას უცნობისთვის უნდა ბრძოლა წაგვობებს კი სწრაფად აწიღის დახლიდარი ფურნის კოლა. თავის ნაცნობ, მეგობრებში ის თანდათან „პურადღება“... ბარნაბ, ბარნაბ გვეყვარები მიაქციო ყურადღება! ტენნიკოსიც მოვიკითხოთ, განთქმულია თვალად-ტანად თუმცა მისი საქციელი ძნელი არის ასატანად. გულახდილად მინდა ვითხრა, ტარტაროზო, რაც კაცია, თავის საქმეს ძვირად უცქერს, ვაფიცებით — ზარმაცია. უყვარს სმა და ქეიფობა. მან გალაბა ერთი მუშა. (იმ საწყალმა მისი ხელი დღემდე ველარ მოიშუშა).

გვარად უორყოლიანია, სახელი აქვს მგონი სიმონ, ნეტავ მისი მოქმედება აქ როდემდის მოითმინონ? ეხლა ილო მოვიხსენოთ შევთმინი, ტანად კობტა, ზოკელავაძის დანიშვნა, ერთი მითხრას, როგორ მოხდა? ხომ იცოდა, რომ გრიგოლსა არ ესმოდა საქმე სწორად? (ის თუ „ფერშლად“ გამოდგება მეც ვივარგებ „პროფესორად“) ძმა-ბიჭობის სუნი უღის გეფიცები, მეგობარო, მეც მასწავლე „პროტექცია“ გულით მინდა მოგებარო. რასაც მეტყვი ეს იცოდე, უბის წიგნში ჩავინიშნავ, და, შემდეგ კი, ჩემს თავს თვითონ მე „კომისრად“ დავინიშნავ. ტენნიკუმსაც მივაკითხავ რასონი რომ განაგებს, აღარ მოსწონს მოწაფეებს და არც თავის ამხანაგებს. მამლაცინწობს სკოლის შიგნით, შედიღურად დასეირნობს მოწაფესთან ვაჭრობს-ჩარჩობს,

ფანქრით და კალმით, წინააღმდეგობა ცხრა-წლედს მივკითხავ, მენობაა დიდებული, გამგედ არის გალდავადე, გლენზედ გადაკიდებული. სიმართლეს და განაჩენსა მისგან კაცი ველარ პოვებს, გლენისა და ღარბის შვილს სკოლის გარედ ხშირად სტოვებს. ალბად ხონში ზურგს უმავრებს „კულაკთა“ და მდიდართ გროვა. ჯერ მიიღო გლენის შვილი და შემდეგ კი დაითხოვა. (კალი თვალთ გადახედოთ, ძაღვ-საღები ქარხანასა. შიგ თუ შეხვალ, დანახავ ზეგრი ბარგი-ბარხანასა. ვინ არის შიგ არ მსახურობს, რა „მიღეთი“, რა „ნაიცია“, მაგრამ უფრო გაგაკვირვებს ნაღდი „მებუკიზაცია“, აქ მებუკე, იქ მებუკე, სად გინახავთ ამდგავარი? (აქ ძველდაც იქებოდა ძმა-ბიჭობით მათი გვარი). სხვა გვარი კაცს ძლიერ გიჭირს აქ ადგილი რომ იშოვო. ყურადღებას რად არ აქცევს, გიპასუხე, საღაროვო? სხანძრო რაზმს მივაკითხავ, რადგან ისიც მაგონდება: მათ „გმირობას“ რომ ვოცქერი — ილო მიწუხს, მიღონდება. მათ საქციელს რომ უყურო გაცაცოვებს, გაგაცხელებს, თუ კი გაჩნდა სადმე ციცილი მაშინ იძებს გამგე ცხენებს. გამგე მუდამ თეატრში ზის თავის საქმეს სხვას ავალებს, და „პრიოსკით“ თავს აწონებს ხონის განთქმულ ლამაზ ქალებს. ეს! სანაძე ჩემო ანტუშ, ნუ ზარმაცო ჩემო კარგო, არ-შეყოფა ყველამ იცის, ხონს ცეცხლის დროს უნდა არგო. ბოლოს ანდროც მოვიკითხოთ კულაკი და „გაიძვერა“, თავის უშნო საქციელით მთელი ხონი შეაჯერა. ბაიშვობიდან მას თან დაჰყვა მოქნილი და ფლიდი ენა; მან გლენების დატყვილებით კარ-მიდამო დაიმშვენა. თუმცა ხონში დაითხოვეს, აქ დასტოვა თავის ბინა, — მაგრამ მანცე პროტექტორი კიდეც საღდაც გაიჩინა. რად მიიღეს სამსახურში? ვინ არგუნა მას ეს ბედი? (ბიუროკრატს ეხმარება ალბად ქვრივი ელსაბედი). აწ მშვიდობით „ტარტაროზ“ — თუ ძმა იყო დამიჯერე, ყოველივე მართალია რაც ამ ლექსში ავიწერე.

ნეკტარი.



ცნობათა მიღება

ცნობათა მიღება

ვერტინეპტონს.

ეროვნული
გეოგრაფიული

ჯაჯიკელას (სუფსა) — შე კაი კაცო, ასეთი ლექსის დაწერა თუ არ გრცხვენია, რატომ უნდა შეგრცხვენოს თუ:

შაქრომ ვარდოსა აკოცა,
პირზე მომადგა ნერწყვი
ველარ მოიგო ნიძლავი,
იმის მაგიერ მცხვენია.

ელვარეზას. — არა უშავს, მაგრამ იუმორი აკლია.
წინაწალას. — გვწერთ წერილის ბოლოში: „ძალიან კარგს იზამთ თუ ამ წერილს შეაშალაშინებთ და დაბეჭდებთ...“ მაგრამ რა უნდა დაგვებეჭდა, როცა შელაშინებთ შემდეგ აღარაფერი დარჩა! გვიან გამოგლვიძებიანთ; ზამთარი უკვე გავიდა.

წითელ ხიზბს. — მორცხვად ათავებთ წერილს: ვერ დაგვებეჭდავთ. (ნუ თუ ასეთი წერილის სიაგკარგე სათუოდ მიგაჩნიათ“!).

ბ. ალწენოს. — თქვენს „გაი ივანეს“ ივანეს ბედი ეწვია.

„მარტინას.“ — ეხლა უკვე მარტია და ფსევდონომიც შესაფერისი გაქვთ ამ თვისათვის, მაგრამ თქვენს წერილს მაინც დაგვებეჭდავთ. „ნებას გაძლევთ ცოტათი შეასწოროთო“... წყალობისათვის გმადლობთ, მაგრამ ჩვენ ნება გვაქვს არა თუ წერილის შესწორებისა, არამედ ასეთი წერილების გოდორში გადაგზავნისაც.

ბუჯბუშტი (ბათომი). — რალა ჩვენ გვიგზავნით მათ ლექსს? წაუწერეთ მათივე სურათს.

ია-უა მერეშიო,
გავიარე ღელეშიო,
ბურჟუებსა ვკარი კვანტი,
წაუგლივე ჩექმის რანტი;
ეხლა ყველას ეშინია
მოწიწებით მეტყვის: „წრასტი“.

ბ. მრამბს. — რა დროს ყანის თონვა-გამარგლავა ეხლა?

სამციხელს (სოფ. ზემო-ალვანი). — ტყვილად გგონიათ, რომ „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“. ალბად ფიქრობთ: „ჯოჯოხეთი ხომ ტარტაროზის არის! მაშასადამე, მოვქთამავ ამ უკანასკნელს და მომითავსებს ამ წერილს“-ო.

ქრთამი არ გვინდა; ისედაც მოვათავსებთ... უფსკერო გოდორში.

შევდივართ რა თქვენს სოციალურ მდგომარეობაში, ვებეჭდავთ თქვენს ლექსიდან ამ ადგილს:

ჯამასხო მღვდელი, ეს წვერებ გრძელი,
ეს უსინდისო, ეს სულის მტერი.
ეხლა რო ვხედავ რო კიდევ მღვდლობს,
ქედში თამაშობს ჩემბერლენის როლს.

შეგვატყობინეთ — ჩემბერლენის როლი და პოლიტიკა - მოღვაწეობა ქვემო-ქედში.

რაც შეეხება იმას, რომ:

ღამით ქათმებს და იხვებს
გავლო ყველგან მუსრია,
მღვდელი ქურდობას შვრებოდეს, —
ნეტავი ვის მოუხწრია?!

ეს არის მათი პროფესია და რა ასე გიკვირთ. თქვენ ეს საკვირველებად და უცნაურებად მიგაჩნიათ; ჩვენ კი ამაში სრულიად ჩვეულებრივობას ვხედავთ. ან და რა ჰქნას კაცმა? დაჩვეულია საკუროთსა და ალაპს. ეხლა, როცა არავინ წყალობს, თვითონ ცდილობს თავის თავის პატივისცემას.

ბ. ველისკირელს (ახალ-სენაკი). — თქვენს ამ ვეებერთელა წერილში: „პიპილა“, არ აღმოჩნდა პიპილის ნამცეციც და, წარმოიდგინეთ თქვენ, არც იოტის ოდენა მარლი.

ტყუილი... ანუ ჩემი თავადსავალი „რენტგენის სხივებზე გავსინჯეთ და აღმოჩნდა, რომ—სჯობდა ტყუილს სწავლებას მართლწერა და წერილის ცალ გვერდზე წერა გასწავლათ.

მიზა ქუთ...ს. — უნდა გითხრათ სიმართლე, რომ ეს ბირველი ცდა დიდ იმედზე უფრო დიდ უიმედობას იძლევა. გვწერთ: „ბევრგან გამოიგონია—ცხოვრებაში ყოველგვარ დარგში უნდა მიიღო მონაწილეობა“-ო... (მონაწილეობაც არის და მონაწილეობაც). რა თქმა უნდა, თუ ასე მიუდგებით საკითხს, მაშინ თქვენ არ უნდა გეწყინოს, რომ თქვენი წერილი უფსკერო გოდორში მოგათავსეთ, რადგანაც ესეც ხომ არის ერთგვარი მონაწილეობის მიღება ტარტაროზის დარგში (უფსკერო გოდორი „ტარტაროზი“-ს ერთ-ერთი ავტონომიური ერთეულია).

„პინერს“ (უხუთი). — რა ასე ძნელი გახდა ერთი ქურდი კულაკის ალაგმვა, რომ:

ონისიმე ქურდობითა
მთლად აიკლო უხუთია.
ცოლდ-შვილი ყველა ქურდობს,
მათგან სული შეგვხუთია.

მაგზაურს. — შე კაი კაცო, თავხედობასაც საზღვარი აქვს? ეს სურათი „ტარტაროზი“-ს ვასულ ნომრიდან ამოვიღიათ. ასეთი უშნო ქურდობაც აღარ გვინახავს...

გულგოსულს. — გვწერთ: „ღმერთი, სჯული—ეს რომ არ დაიხედავს, ვერასოდეს ვერ მიიღებთ ჩემგან წერილს“-ო... მადლობა ღმერთს, გვეღირსა მოსვენება!

„მიზა“-ს (ბორჯომი). — აღელვებით მუშათა ბინებში ელექტრონის გაყვანა კი არა, ლექსის დაწერაც არ შეიძლება, რაც სჩანს თქვენივე სიტყვებიდან:

უსამართლობამ ამაღელვა,
და ამისთვის ვარ ავი.
ლექსის წერა შე არ ვიცი,
არც მაქვს ამის თავი.

აი, ასეთი გულახდილობისათვის კიდევ დაგვებეჭდავთ შემდეგ კულეტს თქვენს ლექსიდან:

ეხლა, როცა ააშენეს,
შიგ ცხოვრობენ მუშები.
არ იქნა—არ გაიყვანეს
შიგ ელექტრო მუშები.

ვარდენ ღვანკითელს. — მივიღეთ თქვენი ლექსები: „გლეხის ამონაკენისი“, „გოსონის ამონაკენისი“ და „ცხენის ამონაკენისი“.

წერილში სწერთ: „უმორჩილესად ვთხოვთ—თუ ღირსად სცნოთ თქვენი ჟურნალისათვის, ადგილი უბოძოთ ამ ჩემს ამონაკენებს (აქაც მეყოფა კენესა და წუხილი)“-ო.

სად ჩვენ და სად კენესა.

ლექსები მიძღვნილია თქვენი „ქარცეცხლში გამტარებელ“ ონისიმესადმი, რომელსაც გადაეცა სამივე ლექსი.

„ინჩის“-ს (ტობანიერი). — გზაც იქით ჰქონებია „მკვდრებზე ან კარგს იტყვიან, ან არაფერსო“, ამბობს რომაული ანდაზა. მღვდელზე კარგი არაფერი ითქმის, მაშასადამე — არაფერს ვამბობთ.

„ი“-ს: თქვენი ლექსი ასე თავდება:

მაინც ვთხოვ, ჩემო ძმობილო,
არ მოათავსო ჯოჯოს კუთხეში.
გავიგოს ქვეყანამ გასაცნობილოთ,
რომ ვარ სატრფოვგან დამდნარი ლეში.

სრულ ჰუმბარიტებას ამბობთ თავის თავზე. „ჯოჯოს კუთხეში“ არ მოათავსოთ... ჯერ ერთი: ჩვენ გვაქვს ჯოჯოხეთის (და არა ჯოჯოს) კუთხე და; მეორე: ასეთ მასალას ჩვენ აქ ვათავსებთ და არა „ჯოჯოხეთის კუთხე“-ში.

წინდასწავლა

ბუნებისმეტყველების
მეთოდური მუდრე



რატომ ასე ადრე მიდიხარ სამსახურში და ძველ ტანსაცმელს იცვამ?
არ იცი, რომ პარტიული წმენდა იწყება!